ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4204373

ნომერი: AR1628116

თარიღი : 04.09.2018

გაცემის თარიღი : 05.10.2018

გაცნობის თარიღი : 05.10.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჭყონდიდელის ქუჩა N22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბელა შერაზადიშვილი პ/ნ 01025008847
- თბილისი დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 5 ბ. 23

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 05 ივნისის №3996714 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებაზე უარის თქმის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 04

სექტემბერს NAR1628116 განცხადებით მომართა ბელა შერაზადიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 05 ივნისის №3996714 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 05 ივნისის №3996714 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ჭყონდიდელის ქუჩა №22–ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.024.187), განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 05 ივნისიდან 2020 წლის 05 ივნისის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი განმარტავს, რომ სამსახურის 2018 წლის 05 ივნისის №3996714 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 4095.2 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 4078.14 კვ.მ, კომერციული ფართობი 401.1 კვ.მ-ის ნაცვლად 403.44 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 580.0 კვ.მ-ის ნაცვლად 581.5 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 691.1 კვ.მ-ის ნაცვლად 626.7 კვ.მ, დამხმარე ფართობი 234.4 კვ.მ-ის ნაცვლად 234.48 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი 1314.5 კვ.მ-ის ნაცვლად 1272.2 კვ.მ. ხოლო, საერთო ფართობი 7316.3 კვ.მ-ის ნაცვლად 7196.46 კვ.მ. განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია შესწორებული გეგმები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა არ წარმოადგენს ტექნიკური ხარვეზის გასწორებას. კერძოდ, წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმების მიხედვით, იცვლება როგორც ფართობების მაჩვენებლები, ასევე დანიშნულებები, რაც არ წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს. აღნიშნული ცვლილების შესატანად საჭიროა სამსახურის 2018 წლის 05 ივნისის №3996714 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირება/ცვლილება. აქედან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი